

სარბიელი

საქართველო
საბჭოთაო

საერთოული გაზეთი

ხუთშაბათი 28 დეკემბერი 2000 №251 (1273)

ფასი 50 თეთრი

იუბილეარი

1



საქართველო
საბჭოთაო

ნელის არის!

„სარბიელი“ ჩვენი გაზეთია!

საშუალოდ მიჯნაზე „სარბიელი“ დაარსებიდან 10 წლის იუბილეს შეიძლება.

ზეიმობს-მეთქი კი ვთქვი, მაგრამ უფრო ზუსტი თქნებოდა, სიტყვა „აღნიშნავს“ გამოიყენებინა. ზეიმი დიდ ღვინოს, ერთგვარ პომპეზურობასაც გულისხმობს. ჩვენ კი ამპზე უარი ვთქვით. საკუთარ იუბილეს ისე, ვისრო წრეში, განსაკუთრებული ზარ-ზეიმის გარეშე აღვნიშნავთ.

ძალიან დამთრგუნველი იყო მიმავალი საუკუნის ბოლო ათი წელიწადი. ძალიან...

XXI საუკუნის მიჯნაზე განახლებულ, გაბარტახებულ, დაბნელებულ ქვეყანაში, რომლის ბოლისუფაღნიც, ვერს არ ვიტყვი, იმასაც კი ვერ ვიტყვებ, რასაკლებლობა დღე-ღამეში თუნდაც ლექტრომომარაგებით მაინც უზრუნველყოფილი იყოს, ღვინოს, ღვინოს, ღვინოს კრიტიკურიუზად იქცევა.

...XXI საუკუნის მოქალაქეები არიან ჩემი შეილება: 3 წლის ვიო და 7 წლის დათა. ამავე საუკუნის „მოქალაქედ“ მოვიზრებ 10 წლის „სარბიელსაც“. ძალიან მინდა, მათ კეშმარიტად თავისუფალი, მდიდარი, ლაღ და საამაყო საქართველოში ბედნიერად იცხოვროს!

გასულ ათწლეულში ნაწვალეზ-ნაჯაფარში ხეირიანიც ბევრი შეგვიქმნია და კრიტიკის ღირსნიც არაერთხელ გვყოფილვართ. რას იზამ, ასეთი ცხოვრებისა და კეთების კანონზომიერება. მაგრამ მთავარი ის არის, რომ სარბიელელებს უზმად, საკუთარ გულში წასატრახებაზეელი ერთი-ორი, რა თქმა უნდა, დაგვივროვდა.

ჩვენ საამაყოც ვვაქვს. ვამაყოფთ, როცა მაგანისგან გვესმის: „ვა, „სარბიელში“ მუშაობ? დღე არ ვაგა, ვგ ვაზეთი არ წაეკეთხო, ძმაო!“

სიამაყეზე მეტი განვიცადე, როცა ჟურნალ-გაზეთების დახლოან ერთმა ახალგაზრდამ, როგორც ჩანს, ნაცნობ გამყიდველს ფული გაუწოდა და, ჩემი ვაზეთი მომეცით, უთხრა. გამყიდველმა „სარბიელი“ მიაწოდა.

ამ ამბავს სიმბოლური დატვირთვაც აქვს.

„სარბიელი“ ჩემი ვაზეთია ანუ იმისი, ვინც წერს „სარბიელი“ შენი ვაზეთია ანუ იმისი, ვინც კითხულობს ნებისმიერი, თუნდაც გენიალური ნაწერი ფუჭი და უაზროა წამკითხველის ვარეშე. სწორედ ამიტომ, „სარბიელი“ ჩვენი ვაზეთია და ვინძლი, XXI საუკუნის მიჯნაზეც ასე იყოს!

ბედნიერ შობა-ახალ წელიწადს გისურვებთ!

ზურაბ ზინცხვინია
გაზეთ „სარბიელის“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი



„სარბიელის“ გუნდი

სპორტულ გაზეთში მუშაობა გვარაიანად რთული ხელობაა. მაგალითად, ღამის სამ საათზე ვიღაცასთან უნდა დარეკო ბენილუქსის რომელიღაც ქალაქში და მისგან მოისმინო, რომ შუაღამისას რეკვა უზრდელობაა. ან კიდევ, რომელიმე სპორტულმა მოღვაწემ გამოგიჭიროს და ავიხსნას, როგორ უნდა წერა, კითხვა, ღვინის სმა და ლექსების წარმოთქმა. თუ ვინმე ძალიან თამამი და სახელიანი შემოგეყარა, ის საერთოდ ცდრით ცდილობს შენი უეცრობის დამტკიცებას.

მასწავლებელი ხომ ისედაც ძალიან ბევრია და ძნელად, რომ მწვრთნელმა დაიჯეროს, ფეხბურთი ჟურნალისტსაც ესმისო.

„ხედავ, ვოვა, ფეხბურთს გვასწავლიან“ — ერთ-ერთი სარბიელის მიერ ერთ უცხოურ აეროპორტში გაფონილი ეს სიტყვები ალბათ საუკუნეს გაუძლებს და მათი წარმომთქმელიც, თავისთავად ძალიან კეთილი, მაგრამ არცთუ კეთილგანწყობილი კაცი, არ შეიცვლის თავის დამოკიდებულებას.

რა თქმა უნდა, ჟურნალისტობა გვარაიანად რთული ხელობაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ტელეფონით ესაუბრები მკითხველს. მკითხველს თავისი აზრი აქვს. ცხოვრება ასეა მოწყობილი. მაგალითად, მკითხველი დაგირეკავს და შეგაქვებს. მაგრამ არის მკითხველი, რომელსაც შენი აზრი ნაკლებად აინტერესებს, რადგან მისი მოსაზრებები კონინბარ. თუ გრძობებს ათამაშებს, მაშინ ასეც გამოვა გაზეთი მისი წამკითხველის მსახურია, მაგრამ მსახურს ჰგონია, რომ რაღაც სერიო-

ხელთბა

ზული ევალება, მკითხველი კი შინაურულად მიუგდებს: „ერთი, ძმაო, სალერნიტანა — ანკონას შროტი მითხარი...“ ესე იგი, ზიხარ და ელი, თითქოს გაზეთი სხვა არაფრისთვის იყოს. უკეთილეს კაცს სახლიდან გასვლა დაეხარა და შენ ემსახურები.

არა, გვარაიანად რთული ხელობაა. ვთქვათ, შეცდომა გაგვეპარა, ან ანგარიში შეგცდა ღამის თამაშზე შევიცარიის მესამე დივიზიონში, ან წინადადება ვერ გამართე ზეირიანად, ანდა წერტილ-შიმე აგერია, მკითხველის ერთსულოვნება შესაშური ხდება — დაბნეული მეფსონე, მოხუცი პროფესორი, ან ვინმე უბრალოდ გაბრაზებული აუცილებლად მიგანიშნებენ რომ უვარგისი ხარ. ისინი მტრები არ არიან, უბრალოდ, უშეცდომო გაზეთი ჩვეულებრივი რამაა, შეცდომიანი კი — არაჩვეულებრივი. ასეთ შემთხვევაში ზარები, პრეტენზიები, გაკვეთილები არც ცუდია და არც კარგი, ეს, უბრალოდ, ხელობის ნაწილია და მორჩა. ამიტომ ერთადერთი, რაც შეიძლება გეწყინოს, ისაა, რომ შენი შეცდომა შეუმჩნეველი არ რჩება.

კი, გვარაიანად რთული ხელობაა. ქე-ბაც და ლანძღვაც ერთნაირად ძნელი

მოსასმენია, რადგან პირველიც ვიკარგავს ობიექტურობის განცდას და მეორეც, ეს იქით იყოს და, ამბის მოყოლა ურთულესი რამაა. ჯერ მარტო რამდენი უნდა იფიქრო შენი ამბის გმირებზე. ვთქვათ, წერ, რომ ერთი პროვინციული კლუბის, ვთქვათ, მესამე ნომერმა გუშინ საზიზღრად ითამაშა. წარმოგე-ნაც არა გაქვს, რომ ამის წაკითხვისთანავე მესამე ნომრის მამა მანქანაში ჯდება, სამას კილომეტრს გამოივლის და რედაქციაში მოდის, ჯერ ბრაზით, ფეხბურთის არაფერი გაგვეგვბათო, მეუერ კი გულისტკენის საიდუმლოსაც ამხელს — ბიჭს დიდ გუნდში იწვევენ და ამას ხელს უშლითო. ანდა რომელიმე მკითხველს ეწყინება, რატომ დაწერეთ, რომ დღეი უილიამსები იელოვლები არიანო, ანდა რატომ არ დაწერეთ, ამდენი სიბინძურე რომ ხდებაო.

რატომ არ დაწერეთ, რომ ვარსკვლავი ძველი ბიჭია? რატომ არ დაწერეთ, რომ მწვრთნელი ამპარტავანია? რატომ არ დაწერეთ, რომ სხდომა სასაცილო იყო?

არა, გვარაიანად რთული ხელობაა, რაც გინდა თქვი და ყველაფერზე ფიქრი გიწევს. და მაინც, არსებობს ფიქრობ და მუშაობ. ამ ქვეყანაში თუ რამე მუშა-

ობს გამართულად, ალბათ გაზეთი. ეს ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ გაზეთი არაჩვეულებრივი ამბების ადგილია. არაჩვეულებრივი ამბები კი სულაც არ არის სავალდებულო, სასიამოვნო ამბებიც იყოს. ყველაფერიც აქედან იწყება. ანდა, ვთქვათ, პატარა ამბავი როგორ იქცევა დიდ ამბად? ამას ხომ მხოლოდ გაზეთში ფონისას მიხვდები. განა გაბერვაზეა საქმე თანდათან ირკვევა, რომ პატარა ამბავი სულაც არ ყოფილა პატარა და საერთოდ, არსებობს კი პატარა ამბები? ესეც ხელობაა და არცთუ იოლი და სასიამოვნო. იმის უკან, რომ დამწერს უბრალოდ უხარია, ვთქვათ, რომელიმე სპორტსმენის კარგ გუნდში გადასვლა და ამას ნაწერით ეხმარება, დიდი წვალება დგას. იმიტომ, რომ დამწერი არაფერს გამოვლის ამ ამბიდან სასიამოვნო ფაქტის გარდა, სპორტსმენს კი ათასი პატრონი უწინდება და ყველა თავისებურად ჭრის და კერავს.

ანდა, რას იხამ, როცა მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი სასწორამდე ვერ მიდის, რათა შეჯიბრზე დაუშვან? ანდა, რას წერ, როცა გუნდის მწვრთნელს სასტუმრო გიაროში იტოვებს, ფული გადმორიცხებთ?

წერ და ეს არაჩვეულებრივი ამბავი უსიამოვნო ამბავია.

სხვანაირად ხელობა არ არსებობს. ბედნიერება კი ისევ გარედან მოდის. დარეკავს ვინმე, უბრალოდ იტყვის, კარგი იყო და მორჩა. ამ ხელობას მაღლობა არ ახლავს და თუ ახლავს, უფრო საჭიროებიდან მოდის და არა გულიდან.

და მაინც, ეს ჯადოსნური ხელობაა. თუნდაც ის რად ღირს, რომ პირველი შეიტყობ ახალ ამბავს. თუალი მინვეულია გაზეთის სახელს საგაზეთო სტენდებზე. შენ არასოდეს ყიდულობ საკუთარ გაზეთს, იმიტომ რომ შენივე ხელობის ყიდვა სისულელეა. შენი ხელობა იმისთვისაა, რომ მხოლოდ ერთი დღით არსებობდეს. და ჯადოსნურიობაც იმაშია, რომ ის, რაც შენთვის გუშინ იყო, მკითხველისთვის დღეს არის. შენ კი დღეს უკვე ხვალსინდელზე ფიქრობ.

სპორტულ გაზეთში მუშაობა გვარაიანად რთული ხელობაა. ვთქვათ, შენი გმირი გეუბნება, ინგლისის ნაკრების მეკარე სიმენსიაო. შენ ორი ვარიანტი გაქვს: ან წერ, რომ სიმენსი მეკარე კი არა, განთქმული ფირმაა, ან წერ, რომ გმირმა იცის, რომ მეკარის გვარი სიმენია. უნდა აირჩიო. არჩევანი ძნელია.

ხელობა... რას იხამ? სულ უნდა აირჩიო, ვთქვათ, პელებსა და მარადონას შორის. ან ორივე, ან ერთ-ერთი, ან არც ერთი...

ყველა შემთხვევაში ჩანს, რა და როგორ.

აბა, აირჩიე.
ირაკლი ბაჩუყალიძე



საპარტიზო



გილოცავთ!

ჩვენ თითქმის თანატოლები ვართ. ჩვენ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და თქვენ — გაზეთი „სარბიელი“. ჩვენ შარშან, თქვენთან ერთად, აღვნიშნეთ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაარსებიდან ათი წლისთავი, თქვენ ახლა შევისრულდათ ამგვარი საიუბილეო თარიღი. ასე რომ, ჩვენ თითქმის თანატოლები ვართ და ერთად ვიზრდებით. გვიხარია, „სარბიელის“ სარბიელის ესოდენი გაფართოება — გაზეთის გვერდების მატება, პერიოდულობის ზრდა, თემების გამრავალფეროვნება, გეოგრაფიის ზრდა.

თქვენი გაზეთი იმთავითვე ჩვენი გაზეთიცაა. ჩვენი ყოველი სამუშაო დღე „სარბიელის“ კითხვით იწყება, რადგან ისიც ეროვნულია, თუმცა ეს ტერმინი მის სახელწოდებაში არსად მოიხსენიება. „სარბიელი“ ეროვნულია და მის ერზე მზრუნველი. ამიტომ „სარბიელი“ ჩვენი მეგობარია. „სარბიელისგან“ გვასოსვს საქართველოს ოლიმპიური მობრძობისადმი და საერთოდ ჩვენი სპორტისადმი უდიდესი მხარდაჭერა და თანადგომა, გვასოსვს სასიამოვნო წერილებიცა და „შწარე კითხვები ტკბილ სუფრაზეც“, მაგრამ ასე რომ არ ყოფილიყო „სარბიელი“ ვერ იქნებოდა ეროვნული და ჩვენი სპორტის ქომაგი.

ყოველივე ამის გამო გილოცავთ დაარსებიდან ათ წლისთავს, ვისურვებთ ქართული სპორტის დიდ წარმატებებზე წერას, ერთგული მკითხველის მატებას და მათთან ერთად გახარებას.

ჯანო ბაგრატიონი,

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი
მეზარ ჯენაიშვილი, გენერალური მდივანი



საპარტიზოს სპორტის სახელმწიფო ლეგიატაინტი

გაზეთი „სარბიელის“ მთავარ რედაქტორს ბატონო ზურაბ შოცხვერიას

ბატონო ზურაბ!

უპირველეს ყოვლისა თქვენ და თქვენი რედაქციის ყველა წევრს გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

დღეს გაზეთი „სარბიელი“ დაარსებიდან 10 წელი შეუსრულდა. გულწრფელად გილოცავთ საიუბილეო თარიღს თქვენ და გაზეთის ყველა მკითხველს. 10 წლის განმავლობაში უდიდესია გაზეთის წვლილი საქართველოში სპორტის პროპაგანდის საქმეში, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ.

გამოთქვამ რწმუნას, რომ გაზეთი „სარბიელის“ რედაქცია კვლავაც აქტიურად დაუღებავს გვერდში სპორტულ ორგანიზაციებს ჩვეული პროფესიული მიდგომით სპორტის პოპულარიზაციის საქმეში.

ღრმა პატივისცემით

ირაკლი მამარიაშვილი
თავმჯდომარე

გადაღობთ და გილოცავთ!

ოლიმპიელი გაზეთი „სარბიელი“ 10 წლის გზაზე დაღობთ და გილოცავთ. ამ საიუბილეო დღეს აღობთ ბევრ თბილ სიტყვას იტყვიან „სარბიელის“ ერთგული მკითხველები და ბევრ რამესაც გაიხსენებენ, ჩვენ კი, ოლიმპიელები, მადლიერებით ვინსენებთ იმასაც რომ „ოლიმპიელი“ „სარბიელის“ ხელშეწყობითა და დახმარებით დაიბადა 6 წლის წინათ. დაიბადა, როგორც გაზეთი, მერე კი იმავე სახელწოდების ორენოვან ჟურნალად გარდაიქმნა, თუმცა სარბიელეთაგან ყურადღება არც იმ „ფერისცვალებისას“ მოგვკლებია. ესეც ისტორიაა! ეს არა მხოლოდ „ოლიმპიელის“, არამედ გაზეთი „სარბიელის“ ისტორიაცაა — სამაყო ისტორია!

მაგრამ შვილობილისგან მამობილის ქება უხერხულია. ამიტომ უბრალოდ გეტყვით, გადაღობთ და გილოცავთ!

ოლიმპიელები

გილოცავთ შობას და ახალ 2001 წელს!

დამდეგ ათასწლეულში ვისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდ საფეხბურთო თუ პირად წარმატებებს. 10 წლის „სარბიელი“ ახალ საუკუნეშიც ქართული სპორტის ფლაგმანი ყოფილიყოს! დარწმუნებული ვარ, ჩვენი თანამშრომლობა ქართული ფეხბურთის წინსვლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იქნება. პატივისცემით და მომავალი თანამშრომლობის იმედით!


მიხაკ შორდანიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი

სარბიელს კითხულობენ!



1990 წლის 28 დეკემბერს გააოგონდა პირველი „სარბიელი“



კოკაინის სკანდალი
ფიფამ დიეგო მარადონას 15 თვით აუკრძალა თამაში

...და გიორგა თაში დახარა
30 აგვისტო. ტოკიო.
ამერიკელი სიგრძეზე მსტომე-ლი მაიკ პაუელი 8,95 მეტრზე გადახტა და ბობი ბიმონის 23 წლის წინანდელი, მეხიკოს ოლიმპიადაზე დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (8,90 მ) დაამხო

1990-1991

ლეონად ქაეუი ლეონად
გარდაიცვალა მიხეილ მესხი
ახალი არგონავტები „ოქროს ტაშე“
ფოთმა წყალმობთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა



პირველი ქართველი მებრძოლი

რომან გიუტაშვილი გახდა პირველი ქართველი მთამსვლელი, რომელიც დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე ავიდა
1991 წლის 19 აპრილს დაფუძნდა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

სულით და გულით გილოცავთ ათი წლის იუბილეს! ამ არცთუ დიდ ხანსა და ძნელ დროში „სარბიელი“ უზარმაზარ პოპულარობას მიაღწია, ეს კი ყველა სარბიელელის დამსახურებაა.

გილოცავთ ყველას კარსმომდგარ ახალ წელს და გისურვებთ, რომ XXI საუკუნეში ჩვენი ხალხის გასახარი ამბები არ მოგკლებოდეთ.

პატივისცემით,
ნონა გაფრინდავიძე



„სარბიელი“ საუკუნის საქმეში

1999 წლის 19 ოქტომბერი — განსაკუთრებული, გამორჩეული თარიღი ქართულ სპორტში და მის ისტორიაში. საუკუნის სახელით საუკუნის საქმე შეჯამდა.

ამ დღეს საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების და სპორტული მოღვაწეების გამოსავლენი რეფერენდუმის შედეგები გამოცხადდა.

რეფერენდუმის ორგანიზატორი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია გახლდათ. სხვებთან ერთად მისი ოფიციალური პარტნიორი კი — გაზეთი „სარბიელი“.

ასე რომ, გაზეთმა, რომელიც მაშინ ათი წლისაც არ მოყრილიყო, საუკუნის საქმეშიც მიიღო მონაწილეობა.

ხოლო რეფერენდუმმა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების თაობაზე ბრძანა: ქალებში — ნონა გაფრინდავიძე, ვაჟებში — ვიქტორ სანეევი.

პირველ სარბიელელთა შორის „გაზეთის“ იმ ხუთიდან „თავზეხელაღებულ“ „გაზეთიკს“ შორის, ვინც ახალი საქმის ნაშრომება განიზრახა.

ყველაზე დიდი „თავზეხელაღებული“, რა თქმა უნდა, ზურაბ ფოცხვერია იყო.

შევიკრიბეთ და დავინწყეთ. პირველი ნომრის გამოცემა ზურას ბინაში, ვინრო წრეში აღვნიშნეთ დიდი სიხარულით და უფრო დიდი იმედებით.

სხვათა შორის „სარბიელის“ ნათლია გახლავართ. ნათლიისგან ნათლულის ქება (თანაც საჯაროდ) იქნებ უხერხულად კი იყოს, მაგრამ ამის გამო ნუ დამძრახავთ.

დღეს, ალბათ, უფლება გვაქვს, ისეთი რამეც ვთქვათ, რასაც სხვა დროს ვერიდებით ხოლმე.

დღეს „სარბიელის“ დაბადების დღეა. „სარბიელი“ ათი წლისა მოიყარა, ათი წელი და გაზეთის 1273 ნომერი.

საქართველოში უამრავი გაზეთი გამოიცემა. კარგიც და ცუდიც „სარბიელი“ კარგი გაზეთია!

ამ გაზეთს ალალი გულით აკეთებენ. ამ გაზეთს პროფესიონალები აკეთებენ. ამ გაზეთში ქართულ ენას მონივნებით ეპყრობიან. ამ გაზეთში ქართულ სპორტს გუშაგობენ. და ა. შ. და ა. შ.

„სარბიელი“ აქებს, მაგრამ არ განადიდებს, აკრიტიკებს, მაგრამ არ ლანძღავს. ამხელს, მაგრამ არ უსაფრდებს.

„სარბიელს“ ეძებენ და ვერ შოულობენ. ენდობიან და იმონებენ, ინახავენ და კინძავენ.

ასეთი გაზეთია „სარბიელი“.

ნათლულს, ნათლიმამას, ყველა სარბიელელს ვულოცავ ათწლივან იუბილეს, ვუსურვებ ბევრ მკითხველს და გულშემატკივარს. მეც მათ შორის მიგულებთ.

ელგუჯა ბერიშვილი
საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი

სარბიელი

საქართველოს სპორტული ჟურნალი

ნონა!!!

თქვენ
სამართლად
გამომწივართ!

ნონა გაფრინდავიძის ფოტო

ლორესო
და
როზას
სამართლად
გამომწივართ!

ლორესო და როზას ფოტო

პოსტა
სამართლად
გამომწივართ!

პოსტას ფოტო

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების და სპორტული მოღვაწეების გამოსავლენი რეფერენდუმში ნონა გაფრინდავიძის გამარჯვებას ვრცელი მიგუძღვინით. იმ „სარბიელის“ პირველი გვერდი (მარცხნივ) ასე გამოიყურებოდა.

სამწუხაროდ, საუკეთესო სპორტსმენი ვაჟის დაჯილდოების ცერემონიაზე ვერ დაესწრო ვიქტორ სანეევი, რომელსაც პრიზი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა სიღწეში ააზღაურა.

1993 წლის 3 აგვისტო
სარბიელი
ოცი თვის უაფავო
დაუბრუნდა გიტიხვალს!

თბილისში დიდი ფანჯურითი დაბრუნდა

დივანო 2:1 ლინევილი

თბილისის „დინამო“ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ითამაშა ჩემპიონთა თასის წინასწარ ეტაპზე

1993

ორი ამბავი „დინამოზე“ პარკი და ცუდი

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა
სრულუფლებიან წევრად აღიარა საქართველოს
ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ქრთამი თუ შატიქმულა?

უფამ თბილისის „დინამო“ მსაჯთა მოქრთამვის მცდელობის ბრალდებით მოხსნა ჩემპიონთა თასის გათამაშებიდან და ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა



ლუი ფიგუ



ზინედინ ზიდან

ჩვენ და რეჟიმდუმები

დაარსებიდან ათი წლის იუბილემდე „სარბიელი“ ოთხმა საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციამ თუ გამოცემამ საქართველოში ექსკლუზიურ პარტნიორად ცნო და მათ მიერ ორგანიზებულ გამოკითხვა-რეფერენდუმებში ჩვენი გაზეთის აზრს ითვალისწინებს.

გზის გამკვლავი ყოველკვირეული ფრანგული ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი“ იყო, ევროპის ყველაზე პრესტიჟული გამოკითხვის თაოსანი. „ფრანს ფუტბოლი“ პირველად 1994 წელს დაეკითხა „სარბიელს“ ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელის თაობაზე და ეს თანამშრომლობა დღემდე გრძელდება.

საერთაშორისო სპორტული ფედერაციებიდან „სარბიელთან“ საქმე პირველმა ევროპის ძიუდოს კავშირმა დაიწყო. 1996 წლიდან ჩვენი გაზეთი კონტინენტის წლის საუკეთესო ძიუდოსტი ქალის და ვაჟის გამოსავლენ რეფერენდუმში მუდმივად მონაწილეობს.

ორი წლის წინა „სარბიელი“ მძლეონობის საერთაშორისო ფედერაციამ (იაფ) დააფასა და მსოფლიოს წლის საუკეთესო მძლეოსანი ქალ-ვაჟის გამოვლენის ამბავს ჩვენს გარეშე აღარ ჩაუვლია.

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) კი „სარბიელი“ საქართველოს მოსახლეობასთან შუამავლად აირჩია. ფიბა ყოველწლიურად აწვდის ევროპის ვარსკვლავთა მატჩს, „ევროსტარზს“, რომლის მონაწილეებსაც საყოველთაო-სახალხო გამოკითხვის შედეგების მიხედვით ასახელებს. შარშანდლიდან ფიბა-ს ანკეტების ქართველ გულშემატკივართათვის მიწოდების და მათი აზრის ფიბა-ში დაბრუნების მისია „სარბიელმა“ იტვირთა. ასე რომ, „ევროსტარზის“ გუნდების დაკომპლექტებაში „სარბიელის“ მკითხველსაც მიუძღვის წვლილი.




რონალდო



რივალდო

„ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვებში მონაწილეობისას შეიძლება ოთხ ჯერ გაზეთმა „სარბიელმა“ გამარჯვებულის ვინაობა გამოიცნო. ამ სურათებზე აღბეჭდილი არიან სწორედ ის ფეხბურთელები, რომლებიც ჩვენი და საერთო აზრით საუკეთესონი იყვნენ.



პირველი ლაურეატი გიორგი ჭინჭალაძე

ბრინჯაოს ფეხბურთელიდან სიღნეის ოლიმპიადამდე

ვინ არის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი? „სარბიელის“ ამ კითხვა-გამოკითხვას 1993 წლიდან მოყოლებული უკვე რვაჯერ უბახუხეს საქართველოს სპორტულმა ჟურნალისტებმა. „სარბიელის“ საფეხბურთო პრემიის (ბრინჯაოში გამოძიებული ფეხბურთელი) ლაურეატთა ჩამონათვალი ასეთია: გიორგი ჭინჭალაძე (1992-93), ჯაკვი დეკაძე (1993-94), შოთა არველაძე (1994-95), გიორგი ჭინჭალაძე (1995-96), თემურ ჭეცბაია (1996-97), შოთა არველაძე (1997-98), ზაზა ჯანაშია (1998-99), ლევან კობიაშვილი (1999-2000).

„სარბიელის“ გამოკითხვით სამჯერ გამოვლინდა საქართველოს საუკეთესო კალათბურთელიც. 1993-94 სეზონის შედეგად ეს პატივი ნიკოლოზ დერიუგინს ხვდა წილად, 1994-95 წლებში ვახტანგ ნაცვლიშვილს, 1995-96 წლებში კი გელა დარსაძეს.

1995 წლიდან თამაშდება რაგბიში „სარბიელის“ სინი. ნებისმიერი მსურველი ჩემპიონატის მატჩში სთავაზობს მფლობელს სინზე თამაშს და მოგების შემთხვევაში მას ეპატრონება.

„სარბიელი“ 1993-94 წლებში გამართული საქართველოს ხელბურთელთა მეოთხე ჩემპიონატის გენერალური სპონსორი იყო, ბოლო წლებში კი უზრუნველყოფდა ევროტურნირების თუ სანაკრებო მატჩების საინფორმაციო მხარდაჭერას.

და კიდევ, 1996 წლის ატლანტის და 2000 წლის სიღნეის ოლიმპიური თამაშებისას თუ მათთვის შზადებისას „სარბიელი“ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი ოფიციალური პარტნიორი გახლდათ.



ხელბურთის მატჩების პროგრამები



1996 წელი. „გუმარის“ მორაგებები „ყოჩებისთვის“ ჩამორთმეული „სარბიელის“ სინით

პირველად სამობლოს სახელით

ქართველმა სპორტსმენებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიადაზე დამოუკიდებელი გუნდის სტატუსით

მოსალოდნელი სირსხვილის ქრონიკა

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, თბილისში, ეროვნულ სტადიონზე 0:1 დამარცხდა მოლდოვასთან

1994 ბრაზილია: გლოვა და სიხარული

ფეხბურთში ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ბრაზილიამ სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი ავტომრბოლი აირტონ სენა დაიტრია



საქართველოდან ბარბიან

ოლიმპიურმა ჩემპიონმა კახი კახიაშვილმა საქართველო დატოვა და თავი საბერძნეთს შეაფარა. ამ გზას არაერთი შეჭირვებული ქართველი სპორტსმენი დაადგა



საზღვარგარეთის სარბიელისეული გაობრაფია



ნიუ იორკი უკიდურესი დასავლეთით და სიდნეი სამხრეთ აღმოსავლეთით. ათი წელიწადი ქვეყნის კიდიდან კიდემდე. 4 კონტინენტის 45 ქვეყნის 110 ქალაქი. საგანგებოდ მივლინებულ კორესპონდენტთა რეპორტაჟები „სარბიელში“

ადანა	თურქეთი	ბურსა	თურქეთი	კატოვიცე	პოლონეთი	ლინცი	ავსტრია	ოლბორგი	დანია	სოფია	ბულგარეთი
ათენი	საბერძნეთი	განჯა	აზერბაიჯანი	კაუნასი	ლიტვა	ლისაბონი	პორტუგალია	თაპავა	ჩეხეთი	სტამბოლი	თურქეთი
ამსტერდამი	პოლანდია	გელზენკირხენი	გერმანია	კიევი	უკრაინა	ლიუბლიანა	სლოვენია	ოსლო	ნოვეგია	ტალინი	ესტონეთი
ანკარა	თურქეთი	გენტე	ბელგია	კიოტო	გერმანია	ლოზანა	შვეიცარია	ოსტენდე	ბელგია	ტილბურგი	პოლანდია
ანკონა	იტალია	გიოტებორგი	შვედეთი	კიშინიოვი	მოლოდოვა	ლომელი	ბულგარია	ოქსფორდი	ინგლისი	ტირანა	ალბანეთი
არტაშატი	სომხეთი	გლაზგო	შოტლანდია	კოპენჰაგენი	დანია	ლონდონი	ინგლისი	პარიზი	საფრანგეთი	ტრაპიზონი	თურქეთი
ატლანტა	აშშ	დუბლინი	ირლანდია	კრაიოვა	რუმინეთი	ლუცერნი	შვეიცარია	პერუჯა	იტალია	ტულუზი	საფრანგეთი
აშხაბადი	თურქმენეთი	ერევანი	სომხეთი	კუალა ლუმპური	ფილიპინები	მადრიდი	ესპანეთი	პორტუ	პორტუგალია	იტალია	იტალია
ბათი	ინგლისი	ესტერგი	დანია	ლა ვალეტა	მატა	მანჩესტერი	ინგლისი	პრალა	ჩეხეთი	ჩეხეთი	ბელგია
ბარსელონა	ესპანეთი	ვარშავა	პოლონეთი	ლანსი	საფრანგეთი	მიონხენგლადბახი	გერმანია	რიგა	ლატვია	შაულიაი	ლიტვა
ბელგრადი	იუგოსლავია	ვილინუსი	ლიტვა	ლარნაკა	კვიპროსი	მიუნხენი	გერმანია	რომი	იტალია	შეფილი	ინგლისი
ბელფასტი	ირლანდია	ვლადიკავკაზი	რუსეთი	ლეკერკუხენი	გერმანია	მოსკოვი	რუსეთი	როტერდამი	იტალია	შტუტგარტი	გერმანია
ბილბო	ესპანეთი	ზაარბრიუკენი	გერმანია	ლიდსი	ინგლისი	ნაგანო	იაპონია	სალონიკი	იტალია	ჩიკაგო	აშშ
ბირმინგემი	ინგლისი	თაუზი	აზერბაიჯანი	ლიეჟი	ბელგია	ნესტევილი	დანია	როტერდამი	სანქტ პეტერბურგი	ციურიხი	შვეიცარია
ბრატისლავა	სლოვაკეთი	იაკობსტალი	ფინეთი	ლილესტრიომი	ნორვეგია	ნიუ იორკი	აშშ	სალონიკი	სენტ ოლბანი	ჯერსი	ინგლისი
ბრიუჯე	ბელგია	ინსბრუკი	ავსტრია	ლილესტრიომი	ნორვეგია	ნიუკასლი	ინგლისი	სანქტ პეტერბურგი	სენტ ოლბანი	ჟერსი	ინგლისი
ბრიუსელი	ბელგია	კალინინგრადი	რუსეთი	ლილესტრიომი	ნორვეგია	ნიურნბერგი	ინგლისი	სილვესტორგი	სიდნეი	ჟერსი	ინგლისი
ბროვარი	უკრაინა	კარლიფი	უელსი	ლილი	საფრანგეთი	ნიურნბერგი	ინგლისი	დანია	სილვესტორგი	ჟერსი	ინგლისი
ბუდაპეშტი	უნგრეთი	კარლიფი	უელსი	ლილი	ინგლისი	ნოტინგემი	ინგლისი	სკოპიე	სილვესტორგი	ჟერსი	ინგლისი

1995

ყველაზე დიდი, თუმცა
საბრძოლველი სისარული
თქმურ ძეგლებია
გოლი გერმანია
კარში: ათი
წუთი ძვეყანა
ჩვენი გვეგონა

ქართული სკოლის წრდილ-ნათელი

11 ოქტომბერი

ფიზკურით — გვგარბით 2:1
საქართველო — გვგარბით 77:66
კალათბურთით — გვგარბით 77:66
ჰოკეით — გვგარბით 77:66

ყველაზე იტალიანად

ყველაზე საბრძოლველი

საქართველოს ფეხბურთელია
ნაკრები კომპიოტერში
მოლოდოვასთან 2:3 დამარცხდა.
ქართულმა მორაგებებმა
მასპინძელ პოლანდიელებს
წინააღმდეგობას ვერ
გაუწიეს, 3:5 წაგეს

\$ 200 000

პირველი სკოლა
ქართული ტრანსფერ
გიორგი ქინქლაძემ
პრემიერლიგას მიაშურა
და „მანჩესტერ სიტის“
მისურა მორიგო



ყველას თავისი საზრუნავი აქვს



დებარტმა ააზენოს ქრის ქოული. ყაჩაღებს რომ გადაგარჩინა სამი სურათის ისტორია



დავყვი თანამშრომელთა ნებას — სულ სხვებზე რომ არ ვაგაბოთ, ერთხელ ჩემზეც დავწერ.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სასაკავას (იპონია) საორტული ორგანიზაციის პირველი მსოფლიო ფოტოკონკურსი გამოცხადდა. ეს ამბავი იაპონელებმა მთელ დუნისას მოსდეს და ერთი სახელმწიფოს ფოტო არ დატოვეს შეუტყობინებელი. საკონკურსოდ იწვევდნენ ყველას — პროფესიონალებსაც და მოყვარულებსაც, კაი დიდი პრიზებიც დააწესეს: ერთი „ოქროს პრიზი“ — 100 ათასი დოლარი, კიდევ სამი ხუთ-ხუთი პრიზი მილიონ-მილიონი და 500000-500000 იენი. ამას გარდა შერჩეულ ნამუშევრებს „ტოკიოს ფოტოგრაფიის მეტროპოლიტენ მუზეუმში“ გამოფენით და ფოტოალბომშიც შევიტანით. თუ ბედმა გაგიღობათ, იმ ალბომს უეჭველად უსასყიდლოდ გამოგიზავებენ, როგორც „შერჩეული ნამუშევრის“ ავტორს.

ვიფიქრე, ასეთი დიდი პატივი, მილიონობით იენი თუ დოლარები არც მე მაწყენდა-მეთქი. პოდა, ამოვქექე ერთი მანამდე გამოუქვეყნებელი, ადამისდროინდელი, მგონი 1977 წელს თბილისის ცირკში, ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატზე დაწვდრეული „ზენიტით“ და მოლაყაყებელი ობიექტითი გადაღებული (ახლაც იმით ვიღებ, შიგადაშიგ) კადრი, დაბეჭდე საშინელ საბჭოურ ქაღალდზე, თანაც ხუთი წლის ვადაგასულზე და იაპონიაში ვაფრინე. ვაფრინე და მოსვენებაც დაგვარევა ვფიქრობდი, რამ გადაამრია, აუტკივარ თავს რატომ ვიტკივებ. ერთი ენახოთ და ამ ჩემმა ფოტომ ის „ოქროს პრიზი“ — 10 მილიონი

იენი, ან თუნდაც ერთი მილიონი თუ ნახევარი მილიონი, მერე ყაჩაღებს ვინ გადაურჩება-მეთქი.

დებარტმა ააზენოს ინგლისელი ფოტოხელოვანი ქრის ქოული — „ოქროს პრიზად“ განკუთვნილი 100 ათასი დოლარი იმან ჩაიხზარია. ყაჩაღებსა და ოჯახის დაწვით კიდევ ხუთმა ინგლისელმა, სამმა იაპონელმა, ორმა გერმანელმა, თითო ამერიკელმა, მონღოლმა, ჩინელმა, ავსტრალიელმა და დანიელმა გადაამარჩინა.

კონკურსის ფიურის გადაწყვეტილებათა ნოტფიკაციაში, რომელიც ამომავალი მზის ქვეყნიდან გამოიგზავნეს, მაცნობეს „ბატონო ავთანდილ გურასაშვილი, დიდი მადლობა I მსოფლიო საორტულ ფოტოკონკურსზე თქვენი ნამუშევრების გამოგზავნისთვის. დიდი მადლობა ისეთ ფოტოხელოვანს, როგორც თქვენ ბრძანდებით. მაღალი დონის კონკურსზე 55 ქვეყნიდან 7 ათასი საორტული ფოტოხელოვანი იყო წარმოდგენილი. ამ ზღვა მასალიდან შეირჩა 220 ნამუშევარი, რომელთაც ეწოდათ „მიღებული ნამუშევრები“ (ტერმინი „მიღებული ნამუშევარი“ ეწოდება იმ ფოტოებს, რომლებმაც, მართალია, ვერ მიიღეს პრიზები და ვიდრე დოლები, მაგრამ არიან დარსსენიშნავი ნამუშევრები). ისინი იმ სახურებზე ყურადღებას და „ტოკიოს ფოტოგრაფიის მეტროპოლიტენ მუზეუმში“ ექსპონირებული იქნებიან იმ დაჯილდოებული ფოტონამუშევრების გვერდით და სხვა ღონისძიებებზე.

გაცნობებთ, რომ თქვენი ნამუშევარი არჩეულია როგორც „მიღებული ნამუშევარი“. მისი სახელწოდებაა „ყველას თავისი საზრუნავი აქვს“.

ამ პატიოსანმა იაპონელებმა სი-

ტყვა არ გატეხეს და გამოიგზავნეს ბრწყინვალე პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული ალბომი, რომელშიც ის 220 „მიღებული ნამუშევარი“ დაბეჭდილი, მათ შორის ჩემიც. ალბომში დიდებული, საოცარი ფოტოებია თავმოყრილი, ბევრი მათგანი — სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებზე გამარჯვებული, მაგრამ ყველაზე მეტად იმან გამაგვირგა, რომ ჩემი გრძელი გვარსახელი იაპონურად ერთი ციკქა გამოვიდა მაშინ, როცა ინგლისელთა ორ-ოთხ ასობიანი ვინაობა, პირიქით, დაგრძელდა.

პო, ლამის დამავიწყდა მეთქვა, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ერთადერთი ჩემი გვარი აღმოჩნდა იმ ალბომში (ფოტოსთან ერთად, რა თქმა უნდა).

ახლა თქვენი გეგმები...

უკაცრავად, ჩემი გეგმები (დამავიწყდა, რომ სხვაზე კი არა, საკუთარ თავზე ვწერ). იაპონელებმა, ის დიდიამბები რომ მიძღვნეს, მთლიან კონკურსში მონაწილეებისთვის პერსონალური მიწვევაც გამოიგზავნეს. ეტყობა, იფიქრეს, მეც ქრის ქოული-სა და მისი დარი ფოტოხელოვნების ლომბეზით მუდამ იქ ვარ, სადაც წესით და რითი ჩემი პროფესიის კაცი მართლაც უნდა იყოს, თანაც კარგი თუ არა, საშუალო დონის კამერით ხელში. და მაინც, იქ სხვებში კომბლესაით რომ ვაწყობ ნამუშევრებს, რამდენიმე მტკვრწყაროლი საკონსურსო კადრი კიდევ მეგულეება, მაგრამ რად გინდა, უკვე დამავიწყდა, როგორ ანათებს ნათურა, რასაც იაპონელებმა ნამდვილად ვერ დამიჯერებენ. არადა, ფოტოგრაფია ხომ შუქით წერას ნიშნავს. ამ წერილსაც სათილის

შუქზე ისეთივე იეროლოფებზე ვწერ, როგორც იაპონურად ჩემი გვარ-სახელი მოგეგონებას.

* * *

მას მერე, რაც ეს ამბავი გამეცნო, ოთხი წელიწადი გასულა, მაგრამ ამ მინაწერსაც სათილის შუქზე ვწერ, და მის მისდროინდელ ფოტოსთან ერთად ნაგანოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გადაღებულ, დღემდე მოუქვეყნებელ ორ მოპიკანტურ სურათსაც ვთავაზობთ. სურათები დენდრა ხუან ანტონიო მარანჩმა მარჯვენა სურათი და ნახა, ამ ბერიკაცმა ბერიკაცი ხოთა, მაგრამ სახალწლოდ თქვენც გაგამხიარულებთ, რა თქმა უნდა.

პო, ნაგანოში ჩემი დანჯარული „ზენიტო“, როგორც იქ „იქნონით“ შევცვალე ნახურ ფოტოვით თავი მომიქონდა, თანამდროვე ფოტოაპარატი შევიტყობინე, მაგრამ მეც ისე დამართა, როგორც საბჭოთა ვემის. გახსოვთ, სსრკ-ის „ზენიტო“ და გავუსწრებელი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სსრკ-ს შშ-ს ორთქლელის წარმოებაში მამინე სწრო, როცა ოკენენგაღებულ ის ჯაბახანები კარგა ხნის მიწვეული ჰქონდათ და ელმებზე ვადასულიყვნენ. სწორედ განოში აღმოვაჩინე, რომ მსოფლიოს ფოტოკორესპონდენტთა ელმავალი ციფრული კამერა გამხდარა.

სიტყვა დამიგრძელდა და განოური სურათების სახელდებების მისაწერად ადგლი დამჩნა ამიტომ ეს საქმე მეველისთვის მიმინდია.

ავთანდილ გურასაშვილი



**მოკრივე
გიორგი
კანდელაკი
დაეოჯიდავლი
საქართველოს
პირველი
მსოფლიოს
ჩემპიონია**



**1997
ტრი მხვრტნელი
პრტი ნელინაღვი**

ალექსანდრე ჩივაპის
შეგვცვლილი დავით ყიფიანი
ვლადიმერ გუცაყვია
შეგვცვალა

ლაბიონეკი დანიანურდნი
შოთა არგველაძე: ტრაზონიანი აიამსში
თეფურ ქეცაბია: აპ-იდან ნიუგასლში



სარბიელი

28.12.1990



გამარჯობა, რვენი მკითხველო!

სარბიელი გახდა უფრო მკაფიო და ინტერესიანი. ამიტომაც მკითხველები უფრო მეტად დაინტერესდებიან მასში მოცემული ინფორმაციით. ამიტომაც მკითხველებს უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მიეწოდებინათ. ამიტომაც მკითხველებს უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მიეწოდებინათ.

ამ ადგილას, როგორც წესი, „სარბიელის“ განვლილი წლის მნიშვნელოვანი ამბებით გამორჩეული პირველი გვერდები იბეჭდება. სხვა დროს ეს ჩვეულებრივი და არცთუ საძნელო საქმე იყო, წლეულს კი უფრო რთული გამოდგა, რადგან რჩეულთა შორის ამორჩევა მოგვიხდა. ქვევით ოთხი წლეუანდელი პირველი გვერდია, გარშემო კი ყოველი წლის თითო გამორჩეული სახე. ასეთია „სარბიელის“ ფოტოალბომი: 1990 წლიდან 2000 წლამდე.

სარბიელი

საქართველო 0:2 იგობოი

მეხუთე მარცხი ზედიზედ

სოსოლოვიძის გუნდის მარცხი მუხიტოვიძის გუნდს დაუდგინდა.

● მუხიტოვიძის გუნდი
● სოსოლოვიძის გუნდი
● მუხიტოვიძის გუნდი



ნაკრები მწვერული უნდა შეიქმნას!

სარბიელი

28.12.1990



მეხუთე მარცხი ზედიზედ

სოსოლოვიძის გუნდის მარცხი მუხიტოვიძის გუნდს დაუდგინდა.

სარბიელი

28.12.1990



მარტოვანი ღვაწლი, ისტორიული გამარჯობა

სარბიელი გახდა უფრო მკაფიო და ინტერესიანი.

სარბიელი

28.12.1990

„არსენალს“ ქართული მადა ემცხათა

ვიცნობთ სიხარულით ბრანსუარს?

სარბიელი გახდა უფრო მკაფიო და ინტერესიანი.

სარბიელი

28.12.1990

გიორგი კანდელაკი საქართველოს პირველი მსოფლიო ჩემპიონი

სარბიელი გახდა უფრო მკაფიო და ინტერესიანი.

1992 წელს სარბიელი არ გამოდიოდა

სარბიელი გახდა უფრო მკაფიო და ინტერესიანი.

სარბიელი

28.12.1990

ალაღია! ივარი კიხიძე 20 000 \$ გააჩინა

სარბიელი გახდა უფრო მკაფიო და ინტერესიანი.

სარბიელი

28.12.1990

ფიგურა! თქვა ხალხმა

სარბიელი გახდა უფრო მკაფიო და ინტერესიანი.

სარბიელი

28.12.1990

ვლადიმერ სეფურაძე

სარბიელი გახდა უფრო მკაფიო და ინტერესიანი.

სარბიელი

28.12.1990

ქრთანი თუ შეთქმულება?

სარბიელი გახდა უფრო მკაფიო და ინტერესიანი.

სარბიელი

28.12.1990

5:0

Georgia With a 5-0 Males, Hands Wales Worst Defeat

სარბიელი გახდა უფრო მკაფიო და ინტერესიანი.

სარბიელი

28.12.1990

საბარტელო - 2, საბარტელო - 77

სარბიელი გახდა უფრო მკაფიო და ინტერესიანი.

სარბიელი

28.12.1990

1:7?

ქართული ფეხბურთი კოლარულ ღამე

სარბიელი გახდა უფრო მკაფიო და ინტერესიანი.

REUTERS

პემმა 5:0 მოუგო „ჩარლტონსი“ „ჩელსი“ კი ახლო იყო სეზონის კვლავ გასვლით გამარჯვებასთან ეიდურ გულიონსენის მიერ პირველ 17 წუთში გატანილი ორი გოლის ამოღებას ურჯუკმა და მოუთვინიერებელმა „ფესვი-ჩმა“ მთელი თამაში მონაწილე და ქულა გადაარჩინა.

„დერბი ქაუნთი“ კვლავ არ წააგო. შაბათს „დერბისგან“ ძლიერი „ნიუკასლის“ შეხვედრამ ბოძი რობსონმა კი იმგვარი ცეცხლი შეუთო თავისიანებს, რომ აღან შირვის გარეშე დარჩენილმა ჯორდებმა „ლიდსს“ თამაში მოუტრიალეს და ლათინური დუბლით წამხდარი იორკშირელები დაამარცხეს — პერუელმა ნორბერტო სოლანომ და ჩილელმა კლარენს აკუნამ პირველ ტაიმშივე გაიტანეს თითო ბურთი.

ასე რომ, პირველ და მეორე ადგილებზე კვლავ ძველი ლიდერები დგანან. ასევე, ბოლო და ბოლოსწინა ხაზებიც ნაცად აუტსაიდერებს უპყრიათ. შუაში კი დიდი საშობაო ქვაბი თუნ-თუნებს. ათ დღეში ცხვილი სულ სხვა-ნაირი იქნება — შუაში მაინც.

ინტერესი გახსნა

პირველი დივიზიონი XXV ტური

Table with 5 columns: Team, Goals, Points. Lists results for various teams like Arsenal, Liverpool, etc.

Table with 5 columns: Team, Goals, Points. Lists results for various teams like Arsenal, Liverpool, etc.

მეორე დივიზიონი

Table with 5 columns: Team, Goals, Points. Lists results for various teams in the second division.

მესამე დივიზიონი

Table with 5 columns: Team, Goals, Points. Lists results for various teams in the third division.



არსენალი — ლესტერი წმ. ლონდონელი ტიერი ანრი შეკარე ტიმ ფლაურსს გასცდა და კიდევ ერთხელ გაუტანა

ინგლისი XX ტური

არსენალი წმ. ლესტერი 1:0 ანრი (35), 2:0 ვიერა (50), 2:1 აკონი (54), 3:1 ანრი (56), 4:1 ლონგბერგი (75), 5:1 ანრი (82), 6:1 აბაში (90)

არსენალი მანჩესტერი 2:0 ანრი (35), 2:1 აკონი (54), 3:1 ანრი (56), 4:1 ლონგბერგი (75), 5:1 ანრი (82), 6:1 აბაში (90)

არსენალი ლივერპული 2:0 ანრი (35), 2:1 აკონი (54), 3:1 ანრი (56), 4:1 ლონგბერგი (75), 5:1 ანრი (82), 6:1 აბაში (90)

არსენალი მანჩესტერი 2:0 ანრი (35), 2:1 აკონი (54), 3:1 ანრი (56), 4:1 ლონგბერგი (75), 5:1 ანრი (82), 6:1 აბაში (90)

უსვლელი და სვალეზადი

წმ. ლონდონელი ტიერი ანრი შეკარე ტიმ ფლაურსს გასცდა და კიდევ ერთხელ გაუტანა

წმ. ლონდონელი ტიერი ანრი შეკარე ტიმ ფლაურსს გასცდა და კიდევ ერთხელ გაუტანა

წმ. ლონდონელი ტიერი ანრი შეკარე ტიმ ფლაურსს გასცდა და კიდევ ერთხელ გაუტანა

წმ. ლონდონელი ტიერი ანრი შეკარე ტიმ ფლაურსს გასცდა და კიდევ ერთხელ გაუტანა

წმ. ლონდონელი ტიერი ანრი შეკარე ტიმ ფლაურსს გასცდა და კიდევ ერთხელ გაუტანა

წმ. ლონდონელი ტიერი ანრი შეკარე ტიმ ფლაურსს გასცდა და კიდევ ერთხელ გაუტანა

წმ. ლონდონელი ტიერი ანრი შეკარე ტიმ ფლაურსს გასცდა და კიდევ ერთხელ გაუტანა

წმ. ლონდონელი ტიერი ანრი შეკარე ტიმ ფლაურსს გასცდა და კიდევ ერთხელ გაუტანა

წმ. ლონდონელი ტიერი ანრი შეკარე ტიმ ფლაურსს გასცდა და კიდევ ერთხელ გაუტანა

წმ. ლონდონელი ტიერი ანრი შეკარე ტიმ ფლაურსს გასცდა და კიდევ ერთხელ გაუტანა

წმ. ლონდონელი ტიერი ანრი შეკარე ტიმ ფლაურსს გასცდა და კიდევ ერთხელ გაუტანა

წმ. ლონდონელი ტიერი ანრი შეკარე ტიმ ფლაურსს გასცდა და კიდევ ერთხელ გაუტანა

Table with 5 columns: Team, Goals, Points. Lists results for various teams.

Table with 5 columns: Team, Goals, Points. Lists results for various teams.

Table with 5 columns: Team, Goals, Points. Lists results for various teams.

Table with 5 columns: Team, Goals, Points. Lists results for various teams.

სარგებელი





კასპა მოგვიკითხა

შავი სანტა კლაუსი, წითელ ქულაჯაზე ჩამოყრილი რევი კულულებით იშვიათი სანახავე და ძნელი საპოვნელია. დიდი საკრივო ქამრებით შეჭურვილი ნაძვის ხეც, ასე ვთქვათ და, არ არის ყოველდღიური ამბავი. მოკლედ, ისე გაბოვიდა, რომ წლევანდელი ახალი წლის და შობის მისალოცი ბარათი „სარბიელმა“ დიდი ჩემპიონის, ლენოქს ლუისის ბანაკიდანაც მიიღო. ლუისი და ჩვენი ძველი ნაცნობი, მისი ყოფილი მეწვეური, ახლა კი მოკრივის მეგობარი და მრჩეველი, „ლენოქს ლუისის კოლეჯის“ თავკაცი ფრენკ მელლოუნი შორეულ კუნძულიდან მოკითხვას გვითვლიან და ბედნიერებას გვისურვებენ.

Boxing Report
The Sarbieli Sports
Post Box 208
Lennox



სტომატოლოგი მსაჯის რინეები

ვითომ უწყინარი, ჩვეულებრივი სურათია, მაგრამ ეს ფოტო ბრალდება გახლავთ. ბრალმდებელი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის წევრი თამაზ თევზაძეა, ბრალდებულნი კი რუსეთის დელეგაციის წარმომადგენლები. თევისუფალ ჭიდაობაში ელდარ კურტანიძის უღირსი ხერხები დამმარცხებელს, მერე კი გაჩემპიონებულ საგიდ მურთაზაძეს ოლიმპიური ოქროს მედალი ორჯონიკიძეში დაბადებულ გაზრდილ, ახლა მოსკოველ მსაჯ ნუგზარ ჟურულისთვის კისრზე ჩამოუკიდია. ეს ამბავი სიდნეის ოლიმპიური საჭიდაო სპორტის კულისებში მომხდარა, ჩვენი თევზაძეც იქ შემთხვევით აღმოჩენილა, „ჩხაკ“ და ფოტობრალდებაც გამომცხვარა. ფოტობრალდებაა, აბა, რა! სპორტსმენები მედალს ხომ კისრზე იმას ჰკიდებენ, ვინც გამარჯვებაში ეხმარება. ასე რომ, სტომატოლოგ ნუგზარ ჟურულს არა მხოლოდ კისრის ამოდრობა, სხვათათვის ოქროს მედალის ჩამოგლეჯა ეხერხება. ასეთი გარუსებული ქართველების წყალობით სტომატოლოგს დაეკარგეთ.

კიდევ დალევ?



უნიკალურ ფოტოზე დიდ უხერხულად ჩაგარდნილი მარტინა პინგისი ჩანს. დამქანცველი სეზონის შემდეგ ჩოგბურთელმა ცოტათი აიშვა, შამპანური წრუბა და მუხა აქ სიტუაცია რთულდება, უმდიდრესი და უცნობილესი საქვეყნოდაც შერცხვა და თან დაამტყერის რომ არაფერს გამოუჩინოს.

ბზრიალა გობოს ლანდეზი

იაპონელი
ფიგურულად
მოსრილად
ფუმზე სუგური
იქნებ არაფრით
გამოირჩეოდეს,
ფოტოზე ნაჩვენებ
საქმეში იგი
ბზრიალას ვერაფრით
აჯობებს და არც
ტიტულები ამძიმებს
მაინცდამაინც,
მაგრამ ფოტოგრაფმა
ამ ლამაზი
კოლაჟისთვის
იგი აირჩია და ვგონებ,
არ შემცდარა:
რიგიანი გოგოა.



მოედევნო «სარბიელი» საუბარ-საახალწლო არდადეგების პირა. 12 იანვარს გამოდის

სარბიელი
საორტული გაზეთი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბერიდან
გამოდის საშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი გიორგი ოძროშაძე
რედაქტორი თამაზ მიხრიალელი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მამუკელი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კობორაძე
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბუციანი, სოლომონ ვულისაშვილი,
გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე, მამუკა
კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე;
ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, და-

ვით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ
სვანიძე, კალათბურთის რედაქცია ვიო ახვლედიანი, გიორგი
ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში
თეზა კაციტაძე, ფოტორეპორტიორები გურამ დოღვეჯაშვილი,
ბადრი კეთილაძე, სტილისტები მანა აბზიანიძე, ნათელა გიორგ-
ობიანი, ლალი გოზალიშვილი, კომპიუტერული ცენტრი ლია
ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი,
კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი,
მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შილ-
აშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომცემები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
შაზაშვილის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო
კუთხე 208. ტელეფონი: 39 48
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვებ-გვერდი:
http://www.sarbieli.com.ge